ამნიოცენტეზი

ხათუნა გოგალაძე

„ნიუტონის თავისუფალი სკოლა“

2016

<u>გაკვეთილის თემა</u> - ამნიოცენტეზი

კლასი - მეცხრე

საგანი - ბიოლოგია

გაკვეთილის მიზანი - მოსწავლეებმა შეაფასონ მემკვიდრული დაავადებების პრენატალური დიაგნოსტირების მეთოდის გამოყენების მნიშვნელობა, მედეარესურსის კრიტიკული ანალიზი და განხილვა; სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

ამნიოცენტეზი - (ბერძნ. amnion ჩანასახოვანი ბუშტი, kentesis გახვრეტა, ჩხვლეტა) – მემკვიდრული დაავადებების პრენატალური დიაგნოსტირების მეთოდი.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:
ტექსტები,
ვიდეო რგოლი,
სტატია.

<u>გაკვეთილის მიმდინარეობა:</u>

I აქტივობა (3 წთ) - საკვანძო კითხვები:

1. რა არის ამნიოცენტეზი?
2. რამდენად მნიშნვნელოვანი და აუცილებელია ამნიოცენტეზის გამოყენება?

სავარაუდო პასუხები:

1. ამნიონს ანუ ჩანასახს ეხება თემა
2. მედიცინა ვითარდება, დაავადების თავიდან აცილების მიზნით და ა.შ

II აქტივობა (3 წთ) - ვიდეომასალის ჩვენება (0:48წთ)
https://www.youtube.com/watch?v=wqf-K0QEC9s

ვიდეოს აღწერა:
35 წლიდან ფეხმძიმე ქალებში გამოიყენება მემკვიდრული დაავადებების პრენატალური დიაგნოსტირების მეთოდი - ამნიოცენტეზი, ორსულობის მე-16 კვირიდან მე-20 კვირამდე იღებენ ამნიონურ სითხეს და ახდენენ მასში მყოფი უჯრედების ქრომოსომული და გენომური მუტაციების გამოვლენას ციტოგენეტიკური მეთოდით.

III აქტივობა (5 წთ) - მასწავლებელი აკეთებს მინი ლექციას (პრეზენტაცია), ქრომოსომათა კარტირების უკეთ განმარტების მიზნით. პრეზენტაციით განმარტავს ამ მეთოდის დადებით როლს, რადგან უკვე 21-ე საუკუნეში ჩანასახშივე შესაძლებელია მშობელს ეცნობოს მისი შვილის გენეტიკური სურათის შესახებ. ამ მეთოდით ხდება გენომის კარტირება და ადრეულ ასაკში დგინდება ჩანასახის ქრომოსომული დაავადებები, ისეთი როგორიცაა:

- ✓ 13 ქრომოსომების ტრისომია
- ✓ 18 ქრომოსომების ტრისომია
- ✓ 21 ქრომოსომის ტრისომია (დაუნის სინდრომი)
- ✓ მყიფე X სინდრომი

მასწავლებელი მოსწავლეებს პრეზენტაციის მსვლელობისას უხსნის ასევე ამ მეთოდის ნაკლოვანებებს. მათ შორის ეთიკურ მხარეს. ზოგიერთი მშობელი გენეტიკური დაავადების დიაგნოზის დასმის შემდეგ მიმართავს „ხელოვნურ ნაყოფის მოშორების“ მეთოდს.
http://en.calameo.com/read/00065984150ec15cafba9

III აქტივობა (5 წთ) - ისტორიული პასაჟი
მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ამონარიდს „სტატიიდან“ – ***სპარტანული აღზრდის მეთოდები***

ახალგაზრდა თაობის აღზრდას სპარტაში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა (ძვ.წ. IV საუკუნე). სპარტის განათლების სისტემა ეფუძნებოდა მოქალაქე მეომრის აღზრდას. ყურადღება ექცეოდა ჯარისკაცის ფიზიკურ განვითარებას. მასში მორალური თვისებების – ერთგულების, ამტანობის და გამძლეობის განვითარებას. აგოგე – ნიშნავს „წაყვანა“-ს ეს იყო საბრძოლო აღზრდის სისტემა სპარტაში (ძვ. წ VIII-IV ს) და სავალდებულო იყო მხოლოდ სპარტის სრულუფლებიანი მოქალაქეებისათვის.

პლუტარქეს მიხედვით აღზრდის პროცესი იწყება ბავშვის დაბადებისთანავე, და არ არის დამოკიდებული მამის ნებაზე, – მამას ბავშვი „მიჰყავს „ლესხაში“ (Λέσχη), – ეს იყო ადგილი, სადაც ისხდნენ უხუცესი ფილები და ამოწმებდნენ ახალშობილს. თუკი ბავშვი ძლიერი და ჯანმრთელი იყო, ოჯახს უბრუნებდნენ გამოსაკვებად.

თუკი ჩვილი სუსტი და მახინჯი (მათ შორის: გონებრივი ჩამორჩენილობა) აღმოჩნდებოდა მას აპოკსეტში ყრიდნენ (უფსკრული ტაიგეტის მახლობლად).

IV აქტივობა (25 წთ) - დისკუსია

მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად. თითოეულმა ჯგუფმა უნდა შეძლოს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოახდინოს თემის რეპრეზენტირება.

<u>სავარაუდო სადისკუსიო კითხვები:</u>

1. თუ ოჯახის ნათესავს ან ახლობელს შესთავაზებს ექიმი ამ მეთოდის გამოყენებას, როგორ რჩევას მიაწოდებ შენ?
2. მოძებნე კავშირი ამ მეთოდის უარყოფ მხარეს (ნაყოფის მოშორება) და ძვ.წ. IV საუკუნეში სპარტაში ბავშვების გადაყრასთან დაკავშირებით.
3. რატომაა ევროპის ბევრ ქვეყანაში ამ მეთოდის გაკეთების აუცილებლობა 35 და მეტი ასაკის ქალებში?

მასწავლებელი ურიგებს ფლიფჩარტებს.

V აქტივობა (5 წთ) - შეფასება

მასწავლებელი ურიგებს შეფასების რუბრიკას.

<u>შეფასება თვითშფასების ანკეტა:</u>

რა ვიცოდი	**რა გავიგე**	**რა მინდა გავიგო**

რესურსები:

ვიდეორგოლი:

https://www.youtube.com/watch?v=wqf-K0QEC9s

პრეზენტაცია:

http://en.calameo.com/read/00065984150ec15cafba9

ამონარიდი სტატიიდან:

(https://civiledu.wordpress.com/tag/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90/)